პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა

მონაწილე, ღილაკზე „გამოწერა“ დაჭერით, აღიარებს მოცემულ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობას (შემდგომ – „თანხმობა“). მოქმედებს თავისუფლად, საკუთარი ნებითა და ინტერესებით, ასევე თავის ქმედუნარიანობას ადასტურებს და ამით გამოხატავს თანხმობას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „PN GTEN“-ს, რომელიც მდებარეობს მისამართით: საქართველო, ქალაქი თბილისი, სამგორის რაიონი, იუმაშევის ქ. 11, და/ან მის აფილირებულ პირებს, მიიღონ მომხმარებლის შესახებ მონაცემები მისი ვებგვერდის www.kabrita.ge გამოყენების დროს, შემდეგი პირობებით:

1.მოცემული თანხმობა გაიცემა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე როგორც ავტომატიზებული საშუალებების გამოყენებით, ასევე მათი გამოყენების გარეშე.

2.თანხმობა ენიჭება შემდეგი პერსონალური მონაცემების დამუშავებას: 1) პერსონალური მონაცემები, რომლებიც არ მიეკუთვნება სპეციალურ ან ბიომეტრიულ კატეგორიებს: სახელი, გვარი, მამის სახელი; მონაცემები ბავშვის შესახებ; საკონტაქტო ტელეფონის ნომრები; ელექტრონული ფოსტის მისამართები; მომხმარებლის მონაცემები (მდებარეობის შესახებ ინფორმაცია; ოპერაციული სისტემის ტიპი და ვერსია; ბრაუზერის ტიპი და ვერსია; მოწყობილობის ტიპი და ეკრანის გაფართოება; წყარო, საიდანაც მომხმარებელი საიტზე შემოვიდა; რომელი საიტიდან ან რომელი რეკლამიდან; ოპერაციული სისტემისა და ბრაუზერის ენა; რომელი გვერდები იხსნება და რომელ ღილაკებს აჭერს მომხმარებელი; IP-მისამართი).

3.პერსონალური მონაცემები არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

4.პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებია:

-პროდუქციის მომხმარებლების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, მათ შორის მომხმარებელთა მოსაზრებების მიღება პროდუქციის შესახებ, განსაკუთრებით კი მისი ხარისხის თაობაზე და სხვ.;

-პროდუქციის შესახებ ინფორმაციის გავრცელება;

-მონაწილეთა ინფორმირება პროდუქციის, აგრეთვე იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ტარდება და/ან ორგანიზდება;

-მომსახურების პერსონალიზაცია და ხარისხის გაუმჯობესება;

-მომხმარებელთა მომსახურება, შეკვეთების შესრულება, მომხმარებელთა მოთხოვნებზე პასუხის გაცემა;

-გამართული აქციებისა და ღონისძიებების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება (მათ შორის – პრიზების/საჩუქრების მიწოდება გამარჯვებულთათვის);

-ინტერნეტ-მაღაზიის მყიდველების შეკვეთების შესრულება.

5.პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (№5669, 28.12.2011) და მოცემული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობა.

6.პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში შეიძლება განხორციელდეს შემდეგი მოქმედებები: შეგროვება; ჩანაწერის გაკეთება; სისტემატიზაცია; დაგროვება; შენახვა; დაზუსტება (განახლება, შეცვლა); ამოღება; გამოყენება; გადაცემა (გავრცელება, მიწოდება, წვდომის მინიჭება); დაბლოკვა; წაშლა; განადგურება.

7.პერსონალური მონაცემები მუშავდება თანხმობის გაუქმებამდე (გამოწერიდან მოხსნის/უარის თქმის მომენტამდე), თუმცა არაუმეტეს 5 წლისა მისი მიცემის დღიდან. პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება შეწყდეს ასევე პერსონალური მონაცემების სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე.

8.თანხმობის გაუქმება შესაძლებელია პერსონალური მონაცემების სუბიექტის ან მისი წარმომადგენლის მიერ – წერილობითი განცხადების მიწოდებით თავისუფალ ფორმაში შპს „PN GTEN“-ის სახელზე.

9.იმ შემთხვევაშიც კი, თუ პერსონალური მონაცემების სუბიექტი ან მისი წარმომადგენელი გააუქმებს პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე მოცემულ თანხმობას, შპს „PN GTEN“-ს უფლებაში რჩება, განაგრძოს პერსონალური მონაცემების დამუშავება სუბიექტის თანხმობის გარეშე, იმ საფუძვლებით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ (№5669, 28.12.2011).

10.მოცემული თანხმობა ძალაშია მისი მიცემის დღიდან თანხმობის გაუქმების დღემდე, თანხმობის 9-ე პუნქტის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 3 წლისა მისი მიცემის დღიდან.